გვანცა წულაია

კაშტელო ბრანკოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, პორტუგალია

,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში Erasmus+ აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური მობილობის პროგრამის ფარგლებში, მიწვეული ვიყავი კაშტელო ბრანკოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, პორტუგალია (Instituto Politécnico de Castelo Branco, Portugal).

საუნივერსიტეტო საქმიანობა გულისხმობდა არა მხოლოდ ლექციების წაკითხვას ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის, არამედ კაშტელო ბრანკოს უნივერსიტეტის სამუშაო სივრცის, ტექნოლოგიების უმაღლესი სკოლის საქმიანობის და აკადემიური პერსონალის გაცნობას, გამოცდილების ორმხრივ გაზიარებას მასპინძელ და სტუმარ აკადემიურ პერსონალს შორის.

შეხვედრები გაიმართა წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით რამდენიმე სამიზნე ჯგუფთან (ერასმუს+-ის კოორდინატორი და კურატორი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები) და თითოეული შეხვედრის შედეგი ნაყოფიერი და მრავლისმომცველი აღმოჩნდა. სალექციო კურსი გულისხმობდა პროგრამული კოდის შემუშავების თემატიკაზე ვორკშოპის ორგანიზება (ვორკშოპის დასახელება: Building an ASP.NET Web API with ASP.NET Core). ვორკშოპი ჩატარდა ტექნოლოგიების უმაღლესი სკოლის სტუდენტების ორ სხვადასხვა ჯგუფთან.

ასევე მხარეებმა ურთიერთგაცნობის შედეგად, არაფორმალურ გარემოში განვიხილეთ სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის სხვადასხვა გზები და საშუალებები, დავისახეთ ახალი გეგმები.

მჯერა რომ ვიზიტის დროს ჩამოყალიბებული ურთიერთობები, პროფესიულ სფეროში შეძენილი კავშირები და მათთან გაგრძელებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ერთის მხრივ აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებას/ორმაგად მოტივირებას, ხოლო მეორეს მხრივ გაჩნდება ახალი შესაძლებლობები სტუდენტების მხარდამჭერი სხვადასხვა ღონისძიების თუ აქტივობის გასატარებლად. მიღებული შედეგებით კი მაღალი ხარისხით წარმოვაჩენთ როგორც კავკასიის უნივერსიტეტს, ასევე ჩვენს ქვეყანას.''